

ლო. მედიას აფიშა

საქართველოს  
და გეორგიას  
მთავრი







დიანეთის საქმეთა სამმართველოს გამოცემლობა: 1584  
ჯიბის წიგნები: 131

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი muslim-georgia

ბეჭდვითი მონიტორინგი  
დოქ. ფატიჰ ქურთი

კოორდინატორი  
ლოქმან არსლანი

გამოცემისთვის მოამზადა  
უღურ ალთინთოფი

ნაწარმოების განმხილველი კომისიის გადაწყვეტილება:  
20.02.2019/17

ISBN: 978-605-7519-40-5

2019-06-Y-0003-1584

სერთიფიკატის ნო: 12930

1. გამოცემა, ანკარა 2019

გამოცემა

Başak Mat. Tanı. Hiz. İth. Ihr. Tic. Ltd. Şti.

+90 312 397 16 17

© თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველო

საკონტაქტო ინფორმაცია

რელიგიური პუბლიკაციების გენერალური სამმართველო  
უცხო ენასა და დიალექტებზე საგამომცემლო სამმართველო

Dini Yayınlar Genel Müdürlüğü

Yabancı Dil ve Lehçelerde Yayınlar Daire Başkanlığı

Üniversiteler Mah. Dumlupınar Bulvarı

No: 147/A 06800 Çankaya/Ankara/TÜRKİYE

ტელ: +90 312 295 72 81

ფაქსი: +90 312 284 72 88

e-posta: [yabancidiller@diyanet.gov.tr](mailto:yabancidiller@diyanet.gov.tr)

საქართველოს  
და გაფრინდის მოწვევა



ღია გუბანის აფიშა



თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამიართველო

## სარჩევი რწმენის პირობები

წინასიტყვაობა • 5

შესავალი • 9

- I- საქმისა და გაჭრობის მნიშვნელობა ისლამში • 10
- II- საქმოსნობაში და გაჭრობაში მომუშავე მუსლიმს რა თვისებები უნდა გააჩნდეს? • 15
1. ანაზღაურების დროულად და სრულად გადახდა • 20
  2. დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის უფლებების დაცვა • 22
  3. ტყუილზე არ უნდა დაიფიცოს • 35
  4. საქონლის საქმარისზე მეტად • 38
  5. ზომაში და წონაში არ უნდა მოვიტყუოთ • 40
  6. ბაზარზე რაიმე საქონლის ხელოვნური დაფიციტის შექმნის გზით ფასების გაზრდა • 41
  7. მომხმარებლებზე კარგად მოქცევა • 42
  8. მომხმარებლის შეცდენა • 45
  9. საქონლის გაყიდვისას ჩარევა • 46
  10. ბაზარში მოსვლამდე საქონელზე აგზაში დახვედრა და ამგვარად როგორც გამყიდველებზე, ისე მყიდველებზე ზარალის მიუენება • 47
  11. სავაჭრო საქმიანობის აღწერა • 49
  12. არალეგიტიმური გზებით შემოსავლის მიღება • 52
- IV. შეფასება და შედეგი • 54

## ნინაუცემის

ადამიანი საზოგადოების ნაწილია. ერთიან სივრცეში მცხოვრები ადამიანები ვალდებული არიან იცოდნენ ინდივიდის უფლებება- მოვალეობები და პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა მოქმედებდნენ, რათა ადამიანთა შორის მშვიდობა და ბედნიერება იქნას უზრუნველყოფილი. პასუხისმგებლობის შეგნება პიროვნებამ, უპირველეს ყოვლისა საკუთარით უნდა დაიწყოს. პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა ვისაც გააჩნია, მან თჯახისა და საზოგადოების წინაშე არსებული პასუხისმგებლობაც იცის და დაკისრებულ მოვალეობასაც ასრულებს.

„ნუთუ ეგონა ადამიანს, რომ უპასუხისმგებლოდ იქნებოდა მიტოვებული?“

ქიამეთ სურას 36-ე აიათი მიგვითოებს, რომ ადამიანი პასუხისმგებლობის მატარებელი არსებაა.

„მერე იმ დღეს, აუცილებლად მოგეკითხებათ, რაც გებობათ!“

თექასურის სურას მე-8 აიათი კი გვიჩვენებს, რომ ადამიანს, უპირველეს ყოვლისა გონება და სხვა მრავალი წყალობა ებობა და ამის საპასუხოდ, გარკვეული ვალდებუ-

ლებები და კუსრა, რომელიც შეძლებიდაგვარად უნდა შეასრულოს.

საზოგადოების სიმშვიდეს, უმთავრესად გაურკვევლობა არღვევს, ყველას გვეკისრება პასუხისმგებლობა, რათა ადამიანის ლირსებისთვის შესაფერისი მომავალი შევიქმნათ. ცხადია, რომ დღეს ჩვენს საზოგადოებაში მრავალი გაურკვეველი საკითხი არსებობს.

დღეისათვის მსოფლიო საზოგადოების მომავალს მრავალი საფრთხე ემუქრება. ესენია: შიმშლი, სიღარიბე, გარემოს დაბინძურება, ბუნებრივი კატასტროფები, სოციალური უთანასწორობა, არათანაბარი პირობები, ზნეობრივი დაცემულობა, სულიერი სიმდაბლე, მატერიალური მიდრეკილებები, ურწმუნოება, ბოროტება, არასაკმარისად ჯანსაღი გარემო, გაურკვევლობა განათლებისა და სამართლიანობის სფეროში, ისტორიული და კულტურული ლირებულებების განადგურება და სხვა. გარდა ამისა, ამ ყველაფერს ემატება ადამიანებს შორის დიალოგის. ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის შემცირება, განსხვავებული აზრის დევნა და ტერორი.

ყველა ეს საკითხი არა კონკრეტული რეგიონის ან ერისთვისაა დამახასიათებელი, არამედ მთელი მსოფლიოს მოსახლეობა

რადაც ფორმით, გაურკვევლობაშია ჩაფლული. ამ საკითხების მოსაგვარევლად კი ხალხებს შორის ურთიერთობის გაღრმავება და საერთაშორისო მნიშვნელობის ქმუდითი მიღწევების ძიებაა საჭირო.

სინამდვილეში, უმთავრესი არის ის, რომ ჩვენს ხელთ არსებულ ღირებულებებს ვერ ვამჩნევთ და შესაბამისად ამ ღირებულებებით არ ვცხოვრობთ. გამომდინარე აქვდან, ჯერ ეს ღირებულებები უნდა აღმოვაჩინოთ და ყოველდღიურობაში დაგნერგოთ. უეჭველია, რომ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება ისლამია, რომელიც რამდენიმე ათეული საუკუნის განმავლობაში, კაცობრიობას გზას უნაოებს.

დღეს, ადამიანის შესაძლებლობების განვითარების მიზნით შემუშავებული ფსიქო-თერაპიის მეთოდების ქმედითუნარიანობისათვის, ეკოლოგიური პრობლემების, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის და სხვა მსგავსი გამოწვევების წინააღმდეგ რელიგიის მნიშვნელობა აშკარაა. ისლამს გააჩნია საიმისო შესაძლებლობა, რომ თანამედროვე გამოწვევებს უპასუხოს. მას აქვს საიმისო დინამიკა, რათა თანამედროვე მსოფლიოს ახალი ფორმულირებები შესთავაზოს.

ამ თვალსაზრისით ჩვენი სარწმუნოების მიერ გადმოცემული ბრძანებები და რჩევე-

## საქართველოსა და გერმანიის შორის

ბი, რომლებიც ურთიერთდახმარებისა და ტოლერანტობის პრინციპების დამკვიდრებას უწყობს ხელს, ყურად უნდა ვიღოთ და ადამიანებს შორის არსებული უფლება-მოვალეობები კარგად გავიაზროთ და ცხოვრების ჭირი და ლხინი ერთად ვზიდოთ. ჩვენი ცხოვრების სტილი სოციალური ურთიერთთანადგომა უნდა იყოს და ბედნიერი მომავლისთვის ყველამ ერთად ვიბრძოდოთ.

## შეხვედრა

ადამიანების ხასიათებს შორის განსხვავებულობა, ეგოიზმი, უსაზღვრო სურვილები და მისწრაფებები ქმნიან საიმისო მდგომარეობას, რომ ადამიანებმა ერთიმეორის უფლებები დაარღვიონ და ეს ასე რომ არ მოხდეს აუცილებელია ამ ყველაფერს მორალური პრინციპები არეგულირებდეს. გარდა ამისა ადამიანებს შორის ურთიერთობის, ერთიანობის, ძმობის და ჰარმონიის შენარჩუნებისთვის სამართლებრივ დებულებებთან ერთად ზნეობრივი პრინციპების არსებობაცაა საჭირო, რაც საზოგადოებრივ ცხოვრებას მისაღებს და იოლად გასაძლისს გახდის. ბუნებრივია საზოგადოებრივი და ინდივიდუალური ცხოვრებისთვის ზნეობის როლი უკიდურესად მაღალია.

ჩვენი სარწმუნოება ისლამი პიროვნებისა და საზოგადოების ცხოვრებაში ზნეობრივი ღირებულებების დაცვას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და ყველა იმ ვალდებულებითა და აკრძალვით ადამიანისთვის მაღალი ზნეობის მინიჭებას ისახავს მიზნად. შუამავალი ბრძანებდა: “თქვენს შორის ყველაზე სასარგებლო ადამიანი ისაა, ვინც ზნეობრივად კარგია”. ბუპარი, მენაქიბ 23)

ეს არის ადამიანი, რომელიც სიტყვითაც და საქმითაც სამართლიანია. ის სიყვარულ-ში, სიკეთესა და სილამაზეში ეჯიბრება სხვებს. არ დაუშვებს ბოროტებასა და მტრობას. სწორედ ასეთი პიროვნებებისგან შემდგარი საზოგადოების შექმნაა უპირველესი მიზანი. ხოლო ყველა ის პრინციპი, რომელიც ისლამი საქმოსნობისა და ვაჭრობის სფეროში დააწესა ისლამის ზოგად პრინციპებში შედის და მათი შესწავლა და აღსრულება ყოველი ჩვენთაგანის ვალდებულებაა.

### I- საქმისა და გაფრთხის შიშვნელობა ისლამში

ისლამის მიხედვით ღვთისმსახურება მხოლოდ ლოცვის შესრულებით, მარხვით, ზექათით და ჰაჯით არ შემოიფარგლება. ყველა ის ქმედება თუ სიტყვა, რომლებიც ღმერთისთვის მისაღები და სასურველია, ფართო გაგებით ღვთისმსახურებად ითვლება. ამ თვალსაზრისით, გზაზე დაგდებული ქვის გადაგდება ან ორმოს ამოვსება, მძიმე ტვირთის ტარებისას სხვაზე დახმარება, მოხუცებზე და ავადმყოფებზე ხელის შეშველება და სხვა მსგავსი ქცევები ღვთისმსახურებაა და ასევე ღვთისმსახურებად ითვლება შემოსავლის ალალი გზებით მოპოვება, ვაჭრობის ისლამის პრინციპების

მიხედვით განხორციელება და სხვა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისლამი ცხოვრების ყველა სფეროს ღვთისმსახურების არჯალად განიხილავს და მასში შედის ვაჭრობის სფეროც.



ისლამის მიხედვით ვაჭრობა მიღებულად ითვლება და ის შემოსავლის ერთ-ერთი ალალი გზაა. ყურანში ნაბრძანებია, რომ ვაჭრობა ალალია. (იხ. სურა ბაყარა 275) მუსლიმებს უფლება აქვთ ჯუმის ლოცვის შესრულების შემდეგ წავიდნენ და ალალი გზებით სარჩო მოიპოვონ. აიათების მიხედვით ამ კონტექსტში ნახსენებია ვაჭრობაც. ბუნებრივია ვაჭრობის განხორციელებისას ისლამის ვალდებულებების აღსრულება არ უნდა შეფერხდეს.

“ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ერთ-მანეთს შორის უკანონოდ არ მიირთვათ თქვენი ქონება, მხოლოდ ვაჭრობა თუ იქნება ურთიერთთანხმობით. და თავი არ მოიკლათ. უეჭველად, ალლაპი მოწყალეა თქვენდამი! (სურა ნისა 29)

არსებობს ვარაუდი, რომ პირველი შუამავალი და ადამინი ადამიც იმ დროისათვის არსებული პირობების გათვალისწინებით ეწეოდა მარცვლეულის მოყვანის, ცხობის, მზარეულობის და მსგავსი ტიპის საქმიანობას.

ასევე შუამავალი იდრისი თერძობას ეწეოდა. აბრაამი მატერიით ვაჭრობდა. იესო დურგალი იყო, ეუბს მოსავალი მოყვავდა და ა.შ. შუამავალი სულეიმანი კი ღმერთის დახმარებით მზისა და ქარის ენერგიას იყენებდა და ამასთანავე ჯინების შრომა გამოიყენა, რითიც სასწაულებრივი ნაგებობების აგება შეძლო. (იხ. ნემლ 40)

შუამავალი მუპამმედიც სანამ შუამავლობის სტატუსს მიიღებდა ვაჭრობით იყო დაკავებული და ხშირად სავაჭრო ქარავანს ქვეყნის გარეთაც დაპყვებოდა. ისევე როგორც ყველა სფეროში, ვაჭრობაშიც სამართლინაობით და სანდოობით გამოირჩეოდა, ამიტომ მას “ელ-ემინ” ანუ სანდო შეარქვეს. ბუნებრივია მან შუამავლო-

ბის შემდეგაც განაგრძო ეს სანდოობა და ვაჭრობის სფეროშიც სამართლიანი სტანდარტების დამკავიდრება უზრუნველყო. ის მუდმივად მოუწოდებდა მორწმუნებს, რომ ვაჭრობაში სამართლიანი და მართლები ყოფილიყვნენ. როდესაც მას კითხეს, რომ რომელი იყო ყველაზე კარგი შემოსავალი, მან “უპასუხა” ხელით ნაშრომი და ასევე პატიოსანი ვაჭრობით მოპოვებული”. (აჭმედ იბნ ჰანბელი, მუსნედ, 3, 466)

შუამავალმა მექადან მედინაში იმულებითი გადასვლის (ჰიჯრა) შემდეგ ერთ-ერთი პირველი რაც გააკეთა ეს იყო “მედინას ბაზარი”. ყურადსალებია, რომ ამ ბაზრის ადგილად სასაფლაოსთან ახლო ტერიტორია შეარჩია, რადგან სურდა დილით იქ მისულ ვაჭარს სიკვდილი გახსენებოდა და შესაბამისად მთელი ყურადღება ამქვეყნიური გამორჩენის მაქსიმიზაციაზე არ გადაეტანა.

ისლამი ლეგიტიმურ და ალალ ვაჭრობას ხელს უწყობდა, ამიტომ შუამავლის თანამედროვენი ჩაბმულნი იყვნენ როგორც სავაჭრო საქმიანობაში, ისე წარმოებასა და ხელით შრომაში. აბუ ბექირი, ‘უსმანი, ზუბეირი, აბდურრაჰმან იბნ ავფი და სხვა მსგავსი წარჩინებულო მოღვაწეები პარალელურად ვაჭრობას ეწეოდნენ. მათვის მიუღებელი იყო უშრომლად და სარჩოს მოპოვების გარეშე რომ დაეხარჯათ და მუქთა

შემოსავალი ეძებნათ. მაგალითისთვის გავიხსენოთ ასეთი შემთხვევა: როდესაც შუამავალი თავისი მხლებლებითურთ მექადან მედინაში გადავიდა, აბდურრაჰმან იბნ ავფი მედინელ ადგილობრივს, საიდ იბნ ერ-რების დაუშმობილა, რაც იმას გულისხმობდა, რომ საიდს აბდურრაჰმანისთვის ქონება უნდა გაეყო. საიდი მდიდარი კაცი იყო. მან შესთავაზა აბდურრაჰმანს ნახევარი ქონება და ასევე უთხრა რომ დააქორწინებდა. აბდურრაჰმანმა ამაზე უარი განაცხადა და საიდს სთხოვა მისთვის ადგილობრივი ბაზრისკენ მისასვლელი გზა ეჩვენებინა. ის მართლაც წავიდა ბაზარში, დაიწყო საკვებ პროდუქტებზე ვაჭრობა და საკუთარ შემოსავალს თვითონვე გამოიმუშავებდა.

ხალიფა ომარი ხშირად ბაზარს ამოწმებდა ხოლმე და როდესაც ხედავდა, რომ იქ მხოლოდ უცხოელები ვაჭრობდნენ ამას განიცდიდა. შემდეგ კი როცა ხალხს შეკრებდა ხშირად მოუწოდებდა, რომ ჩაბმულიყვნენ სავაჭრო საქმიანობაში. ხალხში იყო აზრი, რომ მათ ვაჭრობა არ სჭირდებოდათ და ამიტომაც არ იყვნენ ჩაბმულნი. ამის თაობაზე ხალიფა ომარმა უთხრა მათ: “თუ თქვენ ასე დაშორდებით ბაზარს მამაკაცები უცხო მამაკაზებზე გახდებით დამოკიდებულნი და თქვენი ქალები უცხო ქალებზე.”

გარდა ამისა, ვაჭრობა მხოლოდ შემოსავ-ლის წყარო არ იყო. ეს იყო ერთ-ერთი გზა ისლამის გავრცელებისა და სხვადასხვა ტერიტორიებზე მისი მიწვდენისა. ცნობილი ფაქტია, რომ ისლამი დედამიწის შორეულ კუთხეებში სწორედაც რომ ვაჭრების დამსახურებით გავრცელდა. ისლამის ევროპაში გავრცელება ესპანეთიდან დაიწყო და ესეც ვაჭრების დამსახურება იყო. ასევე ვაჭრების მხრიდან გაეცნო ისლამს აზია და აფრიკაც.

ამიტომ ისლამი არათუ ქვეყნის შიდა ისე საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების მომხრეა, რადგან ის ცივილაციის და სიახლეების გავრცელების ერთ-ერთი საშუალებაა და ამასთანავე ის ადამიანებს შორის ურთიერთობებს და მტკიცე კავშირებს აყალიბებს.

II- საქმისნობაში და დაწილებაში მომუშვებულებები რომ თასნები უნდა გაიჩინება?

### ა) ბაბებები

ბიზნესმენის ყველაზე მთავარი რელიგიური და მორალური ვალდებულებაა თავისი ინვესტიციებით ხელი შეუწყოს ქვეყნის განვითარებას და სიღარიბის დაძლევას.

## საქონლენიბასა და დაჭრის მომავა

ასევე მნიშვნელოვანია სოციალურ სფეროში გაწეული ხარჯები და ქველმოქმედება. ისლამი მოუწოდებს ადამიანებს ისლამის მიერ დადგენილი პრინციპების შესაბამისად იშრომონ და გამდიდრდნენ, ხოლო დაგროვილი ფული ისევ საქმიანობის განვითარებისთვის დააბანდონ და არ გაყინონ. იხ. სურა თევढე 34-35)

ისლამის მიხედვით ყველა ის მატერიალური და სულიერი შესაძლებლობები, რასაც ადამიანი ფლობს და განაგებს, ღმერთის მიერ ნაბოძები წყალობაა.

აიათებში ნაბრძანებია:

“და გაიღეთ მოწყალება იქიდან, რაც ჩვენ მოგმადლეთ, ვიდრედა სიკვდილი გეწეოდეთ თქვენგან რომელიმეს. მაშინ ასე იტყვის: ღმერთო ჩემო! განა არ შეიძლებოდა გადაგევადებინა ჩემთვის მცირე ხნით. ამგვარად, მოწყალებას გავიდებდი და ვიქნებოდი საუკეთესოთაგანი. (სურა მუნაფიუუნი 10)

“და რა გემართებათ თქვენ, რომ არ გაიდებთ ალლაჰის გზაზე? ალლაჰისაა მემკვიდრეობა ცათა და ქვეყნის. თანასწორნი არ არიან თქვენგან, ვინც გამარჯვებამდე გაიდო მოწყალება და იბრძოდა. სწორედ

ეგენი არიან აღმატებული ხარისხებით  
იმათზე, რომელთაც გაიდეს იმის შემდგომ  
და იბრძოლეს. და ყველას სიკეთე აღუთქ-  
ვა ალლაპმა, რამეთუ ალლაპჲი უწყის რასაც  
აკეთებო!” (სურა ჰადიდი 10)

თუ ადამიანები ყველა ამ წყალობას  
ღმერთის მიერ დადგენილი პრინციპების  
შესაბამისად გამოიყენებენ, მათ ამ წყალო-  
ბის გამო მადლიერება გამოხატულად ჩა-  
ეთვლებათ. შესაბამისად ყველა ის ქველ-  
მოქმედება, სოციალური დახმარების გაწე-  
ვა, ახალი ინვესტიციების განხორციელება,  
რაც უმუშევართა დასაქმებას უზრუნველ-  
ყოფს ღმერთის გზაზე დახარჯულად ითვ-  
ლება და სარწმუნოების მიხედვით მოსაწო-  
ნი საქმეა.

ყურანში ნაბრძანებია, რომ ყველა ის  
ადმაიანი, რომელიც ქველმოქმედებას ეწე-  
ვა დაჯილდოვდება როგორც ამქვეყნიური  
სიკეთით, ისე საიქიონშიც მიიღებს უმაღლეს  
ჯილდოს.

“უეჭველად, ჩვენ ვაცოცხლებთ მკვდრებს  
და ვწერთ, რაც წაიმდლოლეს და რა ნიშა-  
ნიც დატოვეს მათ. და ყველაფერი ჩვენ აღვ-  
რიცხეთ ცხად დავთარში. (სურა იასინ 12)

## საქონლენიბასა და დაჭრის მომავალი

“ჰაჯობა ცნობილ თვეებშია და ვინც ამ დროს აღასრულებს ჰაჯს, არ ეთანაცხოვ-როს (ქალს), არ იბილწოს, არ იჩხუბოს ჰა-ჯის დროს; და რასაც კარგს იქმო, ამას უწყის ალლაჰი: გაიმზადეთ საგზალი, მაგრამ საუკეთესო საგზალი, უეჭველად, დვოისმო-შიშობაა. ჰეი გონიერნო, გეშინოდეთ ჩემი! (სურა ბაყარა 197)

“და ის, ვინც იოტისოდენა სიკეთე მაინც ჰქმნა, იხილავს იმას (ჯილდოს მიიღებს)! (სურა ზილზალი 7)

“ვინც ჰქმნა სიკეთე, თავის სასიკეთოდაა. ხოლო ვინც ჰქმნა ავი, იგი თავის საზიანო-დაა. მერე კი თქვენს დმერთოან იქნებით მიბრუნებული! (სურა ჯასიე 15)

შუამავალი ბრძანებდა:

“მუსლიმის მიერ დარგული ხის ნაყოფი მისთვის მოწყალებაა”.

“მუსლიმი ადამიანი რომ ხეს დარგავს ან რაიმეს დასთესს, განკითხვის დღემდე ნაყოფიც და მოსავალიც მისთვის მოწყალებაა.”

გამომდინარე აქედან ყოველი მუსლიმი ბიზნესმენის ვალია თავი შეიკავოს ამპარ-ტავნებისა და ფუფუნებისთვის ხარჯვი-

საგან და შეეცადოს ფულის დაბანდებით ქვეყნის ეკონომიკური აღდგენისათვის იზრუნოს და ამასთანავე გასწიოს ქველმოქმედება. ეს თვისება მუსლიმი ბიზნესმენისათვის ერთ-ერთი უმთავრესია.

### 8) ღამისაქმებელი

საზოგადოებრივი ცხოვრება ადამიანებს გარკვეულ უფლებებს და მოვალეობებს ანიჭებს. სხვათა უფლებების პატივისცემა და მოვალეობების შესრულება ყველა ადამიანის რელიგიური და ზნეობრივი ვალდებულებაა. ადამიანის შრომისა და გაწეული ამაგის დაფასება კი ისლამის მიერ აღიარებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ვალდებულებაა. ღმერთი შრომასა და ამაგს მნიშვნელოვან ღირებულებად განიხილავს და მისთვის როგორ ამქვეყნიურ, ისე იმქვეწნიურ ჯილდოს აწესებს.

“და რომ არფერია ადამიანი, გარდა იღვწოდა რასაც. (ნუჯმ 39)

“და ის, ვინც იოტისოდენა სიკეთე მაინც ჰქმნა, იხილავს იმას (ჯილდოს მიიღებს)! ”

და ისიც, ვინც იოტისოდენა ავი ჰქმნა, იხილავს იმას (სამაგიერო მიეზღვება)! ”  
(ზილზალ 7-8)

“ალლაჰი არ აკისრებს არც ერთ სულს  
იმაზე მეტს, რაც მას ძალუბს. მისი იქნება  
რა სიკეთესაც მოიხვეჭს და მის წინააღმ-  
დებ, რა ავიც მოიხვეჭოს. ღმერთო ჩვენო!  
ნუ მოგვკითხავ, თუკი დაგვავიწყდა ან შევც-  
დით! ღმერთო ჩვენო! არ გვატვირთო მძიმე  
ტვირთი, როგორც იმათ ატვირთე, ვინც ჩვენ  
უწინარეს იყო!... ღმერთო ჩვენო! არ დაგ-  
ვაკისრო ის, რისი ძალაც არ შეგვწევს და  
მოგვიტევე ჩვენ, შეგვინდე და შეგვიწყალე!  
შენ ხარ მბრძანებელი ჩვენი და დაგვეხმარე  
ურწმუნო ხალხის წინაშე!” (ბაყარა 286)

აიათებში ნათლად არის განმარტებუ-  
ლი, რომ ყველა ნამოქმედარი აუცილებლად  
შეფასდება. წმ. ჰადისში ნაბრძანებია, რომ  
განკითხვის დღეს ღმერთი მათ წინააღმდეგ  
იქნება, ვინც ადამიანებს ამუშავებს და მი-  
უხედავად იმისა, რომ სამუშაო კარგად შე-  
ასრულებს, გასამრჯელოს სრულად მაინც  
არ გადაუხდის. (იხ. ბუჰარი, იჯარე, 10)

დამსაქმებლის დასაქმებულთა წინაშე  
უფლება მოვალეობები შეიძლება შემდეგ  
ორ ჯგუფში ჩამოყალიბდეს:

### 1. მისამართების და სამართლის და გადახდის

წესიერი დამსაქმებელი უპირველეს ყოვ-  
ლისა დასაქმებულთა ანაზღაურების ადეკ-  
ვატურობას უნდა აქცევდეს ყურადღებას.

გასამრჯელო, ან ხელფასი დასაქმებულის ძირითადი საჭიროებების შეძენას უნდა აკლმაყოფილებდეს. თუ შესაძლებელია შესაბამის საქმეს შესაფერის გასამრჯელო უნდა ჰქონდეს. ისეთ საქმეს, რომელსაც ცოდნა და განსაკუთრებული ნიჭი სჭირდება ანაზღაურებაც შესაბამისი უნდა ჰქონდეს. გასამრჯელოზე შეთანხმება თავიდანვე უნდა მოხდეს, რათა შემდგომში უკმაყოფილება თავიდან იქნას აცილებული. გასამრჯელო სრულად და დროულად უნდა იქნას გადახდილი.



შუამავალი ბრძანებდა: “მუშას ფული შუბლზე ოფლის გაშრომამდე გადაუხადეთ”. (იბნ მაჯე, რუპუნ, 4) ამ პატისით ნათელია თუ რაოდენ მნიშვნელობა ენიჭება მშრომელი ადამიანის უფლებას და მათთვის შესაბმის ანაზღაურებას.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ თუ დამსაქმებელი დასაქმებულს დროულად და კარგად გადაუხდის სამქეები წინ წავა. განდევბა ურთიერთპატივისცემა და შრომის მოტივაცია.

## 2. დამსაქმებელის მიერ დამსაქმებულის უფლებების დაცვა

დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულებს უსაფრთხო გარემო შეუქმნას, რათა ისინი სამუშაოს შესრულებისას ფიზიკურად ან ფსიქოლოგიურად არ დაზარალდნენ. ასევე აუცილებელია დასაქმებულებს დგთისმსახურების შესრულების საშუალება ჰქონდეთ.

ასევე დასაქმებულების უფლებებიდან გამომდინარე, მათ არ უნდა დაევალოთ ისეთი საქმის შესრულება, რაც მათ ძალებს აღემატება. დამსაქმებელმა პატივისცემით უნდა მოეპყროს ყველა დასაქმებულს. (იბ. იბნ მაჯე, ედებ, 44)

გარდა ამისა დასაქმებული ადამიანების დაზღვევით უზრუნველყოფაც მნიშვნელოვანი საკითხია და მისი უგულებელყოფა მიუღებელია.

### გ შემდგას და საჯარო შოთავას ხელშეკრულების აუდინა

ისლამის მიხედვით დამსაქმებელისა და დასაქმებულის ურთიერთობას საფუძვლად უნდა ედოს ურთიერთსიყვარული, ურთიერთპატივისცემა და თანადგომა და არა კონფლიქტი და პაექრობა. ამიტომ ყოველი დასაქმებული ხელშეკრულების საფუძველზე უნდა იქნას აყვანილი. ხელშეკრულების პირობების უნდა შეესაბამებოდეს კანონს, რელიგიურ პრინციპებს და ბუნებრივია უნდა იყოს ზნეობრივად მისაღები.

ამ ზოგადი განმარტების შემდეგ დასაქმებული ადამიანების დამსაქმებელთა მომართ არსებულ უფლება - მოვალეობზე ვისაუბრებთ.

### 1. საქმის ხელშეკრულების შესრულება

კერძო თუ სახელმწიფო სექტორში დასაქმებული ადამიანი ვალდებულია დაკისრებული მოვალეობა დირსეულად შეასრუ-

## საქმისნობასა და გაფრთხობას მომავა

ლოს, რათა მის მიერ აღებული ჯამაგირი ალალი იყოს. ბუნებრივია ყოველი დასაქ- მებული სამსახურში დროულად უნდა გა- მოცხადდეს და თავისი საქმე სრულფასო- ვნად შეასრულოს. დასაქმებულს აღებული გასამრჯელო საქმის სრულფასოვნად შეს- რულებისთვის ეძლევა.



დადგენილია, რომ ყურადღებით და ხა- რისხიანად შესრულებული საქმე დასაქმე- ბულს პროფესიულ წინსვლაში დაეხმარება და ასევე გაიზრდება წარმოებულ საქონელ- ზე მოტხოვნა, რადგან ის ხარისხიანი იქნე- ბა. შესაბამისად გაიზრდება დამსაქმებლის შემოსავალიც, რაც საბოლოო ჯამში დასაქ- მებულთა კეთილდღეობაზეც ხელფასის მა- ტების სახით აისახება. შუამავალი მოუწო-

დებდა მორწმუნებებს, რომ დაკისრებული მოვალეობა ღირსეულად და შეძლებისდა- გვარად სრულყოფილად შეესრულებინათ.

## 2. პირულის და მოვალეობის ურთის ცოდნა

ყოველი დასაქმებული, მუშა იქნება, სა- ჯარო მოხელე თუ სხვა, ვალდებულია გა- უფრთხილდეს სამუშაო გარემოს და ყველა იმ ინვენტარს, რასთანაც კონტაქტი უწევს. მათ ხომ შესრულებულ სამუშაოსთვის გა- სამრჯელოს უხდიან, მაგრამ ყველა ის ნივ- თი, რაც დამსაქმებელს ეკუთვნის დასაქმე- ბულზეა ჩაბარებული და მათზე ყურადღე- ბის მიქცევა აუცილებელია. ამის შესახებ შეამავალიც ბრძანებდა, რომ ყოველი და- საქმებული დამსაქმებლის ქონებას უნდა გაუფრთხილდეს. (იხ. ბუჭარი, ისტიყრაზ, 20)

## 3. სერიოზული და პირულის და პირულის მიმდევა

სამუშაო ცხოვრებაში სიმშვიდის, ბედ- ნიერებისა და პროდუქტიულობის ასამაღ- ლებლად სამსახურებრივ ურთიერთობებში აუცილებელია ორივე მხარემ, დამსაქმებელ- მაც და დასაქმებულმაც გავითვალისწინოთ ისლამის მიერ დადგენილი პრინციპები.

## საქონლებისა და გაფრთხის მოწვევა

ამისათვის კი უპირველეს ყოვლისა საჭიროა ძირითადი პრინიციპების დაცვა. ესენია: ერთგულება, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა, სამართლიანობა, სიტყვის და პირობის ერთგულება და სხვა. იადი ღმერთი სურა მაიდეს პირველივე აიათში ამ საკითხის შესახებ ბრძანებს:

“ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! შეასრულეთ აღთქმანი...

აიათში ნახსენები “შეასრულეთ აღთქმანი” გულისხმობს პირობის შესრულებას და ეს ბრძანება ვრცელდება როგორც დამსაქმებლების, ისე დასაქმებულთათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ რაოდენაც დასაქმებული ვალდებულია შეასრულოს პირობები, დამსაქმებელიც ასეთივე ვალდებულია შეასრულოს შეთანხმების პირობები.

დასაქმებული ვალდებულია დაკისრებული მოვალეობა დროულად და კარგად შეასრულოს, ხოლო დამსაქმებელი ვალდებულია დასაქმებულს შეპირებული ჯამაგირი დროულად გადაუხადოს. ამასთანავე გასამრჯელო სამართლიანი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, როცა ან დასაქმებული არ შეასრულებს დროულად საქმეს, ან დამსაქმებელი არ გადაუხდის დროულად გასამრჯელოს ორივე მხარე დროს ტყულად დაკარგავს, დაზარალდებიან როგორც ფი-

ნანსურად ისე სულიერად და მხარეებს შორის გაჩნდება კონფლიქტის წარმოშობის საფუძველი.

მოკლედ, სამუშაო ცხოვრებაში მხარეები სიყვარულის, პატივისცემის, სამართლიანობის და ურთიერთგაგების პრინციპებს უნდა ითვალისწინებდნენ. დამსაქმებელი, რომელიც დასაქმებულებს ჩაგრავს, მათ უფლებებს არღვევს და სამართლიანად არ იქცევა, ისლამისთვის მიუღებელია. ასევე მიუღებელია დასაქმებული, რომელიც საქმეს ღირსეულად არ ასრულებს და სამუშაო ადგილზე ქმნის პრობლემებს. ისლამისთვის მისაღებია ისეთი დამსაქმებელი, რომელიც დასაქმებულებს სამართლიანად მოეპყრობა და გასამრჯელოს სრულად და დროულად გადაუხდის. ამასთანავე, დასაქმებულიც აღებულ გასამრჯელოს უნდა იმსახურებდეს და დაკისრებულ მოვალეობას ღირსეულად ასრულებდეს.

გამომდინარე აქედან, პასუხისმგებლობის მატარებელი მუსლიმი პიროვნება სამუშაო ცხოვრებაში რომელ პოზიციაზეც არ უნდა იყოს სხვათა უფლებებს იცავს და მოვალეობებს ღირსეულად ასრულებს. ვინც სხვას პატივს სცემს ის თავად იმსახურებს პატივისცემას.

## ე) შპონიზებელი

სამუშაო და სავაჭრო ცხოვრებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრინციპი არის ის რომ, მწარმოებელი უნდა ეცდებოდეს აწარმოოს რაც შეიძლება კარგი და ხარისხიანი საქონელი. გამომდინარე აქედან, ადამიანმა თავისი საქმე საუკეთესოდ უნდა შეასრულოს და არ დაუშვას არავითარი თაღლითობა. ის მხოლოდ ასე დაიმსახურებს იმ გასამრჯელოს, რასაც უხდიან. ამ დროს ყოველი ადამიანი უნდა ფიქრობდეს, რომ მის ნამოქმედარს თუ დამსაქმებელი ვერ დაინახავს დმერთი მაინც ხედავს და ყოველი მისი ქმედება იწერება.

მორწმუნე მუსლიმი, რომელიც წარმოების სფეროშია და საქონლის წარმოებით არის დაკავებული არასოდეს იკადრებს ისეთი საქონელი აწარმოოს, რაც სხვებს ზიანს მოუტანს. მუსლიმი მწარმოებელი ვალდებულია აწარმოოს ისეთი საქონელი, რომელიც ხარისხიანი და საუკეთესო იქნება. დაუშვებელია თაღლითობა და მომხმარებლის მოტყუება. მუსლიმმა მწარმოებელმა არაფრის დიდებით არ უნდა დაუშვას ჯანმრთელობისთვის საზიანო ან ვადაგადაცილებული საქონლის ბაზარზე გატანა. ნაკლოვანი და უხარისხო საქონელი ხარისხიანად არ უნდა გასაღდეს.

მშენებელიც ვალდებულია სახლის საძირკველი გეგმაზომიერად გააკეთოს და ისეთი ნაგებობა ააგოს, რაც შემდგომში მოსახლეობას საფრთხეს არ შეუქმნის. ამასთანავე, გაყიდვის დროსაც სინდისიერად უნდა მოიქცეს.

გარდა ამისა, ექიმი ავადმყოფს, მასწავლებელი მოსწავლეს, იმამი მრევლს, ადვოკატი მისი დაცვის ქვეშ მყოფს და ა.შ. პატიოსნად და პატივისცემით უნდა მოეპყროს.

საქმის სწორად და სინდისიერად გაკმთება ყოველი ადამიანის რელიგიური და მორალური ვალდებულებაა.

### კ. დაქტორი

ვაჭრობა ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ყველა ექიმი და ინჟინერი ვერ იქნება, მაგრამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ყველას უწევს. გლეხი თავის მოსავალს ყიდის, ხელოვანი რაიმე ქმნილებას, ფარმაცევტი წამალს და ა.შ. ამასთანავე, ყოველი ადამიანი იძულებულია რაიმე შეიძინოს და სულ მცირე ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის ყიდვა-გაყიდვაში მონაწილეობა მიიღოს. ყველა ამ საჭიროებების დაკმაყოფილების პროცესში ვაჭარს დიდი წვლილი შეაქვს.

გამომდინარე აქედან ისლამი, როგორც პრაქტიკული და ცხოვრებისეული რელი- გია, ადამიანებს ნებას რთავს თავიანთი შე- საძლებლობების მიხედვით მონაწილეობა მიიღონ ვაჭრობაში, გახდნენ პარტნიორები თუ ამის საჭიროება არსებობს და საერ- თოდ ჩაებან ამ პროცესში, მაგრამ ამასთა- ნავე ისლამი ადგენს ძირითად პრინციპებს, რაც ვაჭრობის პროცესში აუცილებლად გასათვალისწინებელია. ეს უზრუნველყოფს ვაჭრობის პროცესის სანდობას და უსა- მართლობისგან თავის დაცვას. ყველა ამ პრინციპის გავალისწინება და მათი მიხედ- ვით ქცევა, ზოგადი მნიშვნელობით “ლეგი- მსახურებად” ითვლება.

ისეთი ლეგისმსახურების შესრულები- სას, როგორიცაა ლოცვა, მარხვა, პაჯი და სხვა, საჭიროა მთელი რიგი წესების ცოდნა. ასევე საჭიროა შევისწავლოთ ის პრინცი- პები, რომლებიც ვაჭრობის პროცესს არვ- გულებენ. ხალიფა ომარი კი მოუწოდებდა ადამიანებს არ შესულიყვნენ ბაზარში მა- ნამ, სანამ იქ მოქცევის წესებს არ შეისწავ- ლიდნენ.

ბაზარში მოქცევის ძირითადი წესები კი შემდეგია:

## 1. პაროსტანი. მომდინარეობის სიმართლის თქმა

ყურანში პირველივე აიათებშია ნაბრძანები: “დაგვადგინე სწორსა გზასა”, რაც იმის მტკიცებულებაა, რომ ჩვენს სარწმუნოებაში სიმართლეს და პატიოსან სიტყვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ასევე სურა ჰუდის 112-ე აიათში ნაბრძანებია:

“მაშ, მტკიცედ იდექი, როგორც გებრძანა,  
და ვინც მოიქცა შენთან ერთად. და არ გადახვიდეთ ზღვარს. უეჭველად, იგი ხედავს,  
რასაც სჩადიხართ!

და არ გადაიხაროთ იმათკენ, რომელთაც  
უსამართლობა ჰქმნეს, რომ არ შეგეხოთ ცეცხლი. და არა გყავთ თქვენ მეგობარი, ალლაჰის გარდა, მერე არავინ შეგაწევათ!”

შუამავალიც მთელი თავისი ცხოვრებით  
სიმართლისა და პატიოსნების უბადლო მაგალითი იყო.

ერთხელ როდესაც ერთი კაცი მივიდა შუამავალთან და სთხოვა ერჩია რამე ისეთი, რის შემდეგაც სხვა რჩევა აღარ დაჭირდებოდა შუამავალმა უთხრა: “იწამე ღმერთის და იყავ ალალმართალი”.

ალალმართლობა იმდენად მნიშვნელოვანი პრინციპი და ბრძანებაა, რომ ის საზოგადოებრივი და ინდივიდუალური ცხოვრების

## საქმისნობისა და გაფრთხისას შროვა

ბის ნებისმიერ სფეროში აუცილებლობას წარმოადგენს. ისეთ საზოგადოებაში, სადაც უფროსი ხელქვეითს, ხელქვეითი უფროსს, გამყიდველი მუშტარს, მეგობარი მეგობარს, მეუღლე მეუღლეს და ა.შ. არ ენდობა და ატყუებს ცხოვრება გაუსაძლისი გახდება. ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების პროდუქტიულობა და წარმატებაც ალალმართლობასა და პატიოსნებაზეა დამოკიდებული. აწონვისას, გაზომვისას მოტყუება, საქონლის ნაკლის დაფარვა, საქონლის რელური ფასის დამალვა და გადაჭარბებულად ზედმეტის დაფასება, თაღლითობა და ტყუილი მუსლიმი ადამიანის ქცევებს არ შეესაბამება.



სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდებულ პერიოდში, როცა ალალმართალი

ადამიანების რიცვმა კატასტროფულად იკლო, ისლამის ძირითადი მიზნების: სიცოცხლის, ქონების, ნამუსის და შთამომავლობის უსაფრთხოების დაცვა ძალიან გაძნელდა. ნიავდება ქონება, სავსეა ყალბი ფაქტურები და ჩეკები, ბაზარი მიაქვს უხარისხო და პატენტ პროდუქციას და სხვა.

ამიტომ მუსლიმმა ვაჭარმა უნდა იცოდეს, რომ უცოდინარ და მიმნდობ მომხმარებელს უხარისხო და ცუდი პროდუქცია არ უნდა შეასაღოს. ასეთ დროს აუცილებელია მომხმარებელს ვაცოდინოთ საქონლის ნაკლი და მისი ხარისხიანობა. შეამავალი ბრძანებდა: “ტყუილის მთქმელი ჩვენიანი არ არის” ეს ბრძანა, მაშინ, როცა ბაზარში სეირნობისას ნახა, რომ ადგილობრივი ვაჭარი მომხმარებლებს საქონლის ნაკლს უმალავდა და არ ეუბნებოდა. ასეთ შემთხვევაში ვაჭრის ქცევა და შესაბამისად შემოსავალიც ალალი ვერ იქნებოდა. შეამავალი ასევე ბრძანებდა, რომ პატიოსანი ადამიანები, რომლებიც სხვებს არ ატყუებენ საიქიოში შეამავალთან, მის ერთგულებთან და შაპიდებთან ერთად იქნებიან.

მოკლედ რომ ვთქვათ, მუსლიმი ვაჭრის სიტყვაც და ქცევაც ალამართლობას უნდა ეფუძნებოდეს და თაღლითობა უნდა გამოირიცხოს. გაყიდვისას აუცილებელია მომხმარებელს უთხრას საქონლის ნაკლი და

## საქმისნობისა და გაფრთხობის მომავალი

სხვა თვისებები. მისი პროდუქცია ისეთივე უნდა იყოს, როგორიც სინამდვილეშია. გამყიდველმა უნდა იცოდეს, რომ თუ მყიდველს მოატყუებს მისი შემოსავალი ალალი არ იქნება. შუამავალი ამის შესახებ ბრძანებდა:

“თუ ადამიანის გული არ იქნება მართალი, არც მისი რწმენა იქნება მართალი. თუ ადამიანის ენა არ იქნება მართალი არც გული იქნება მართალი.” (პტერ იბნ ჰანბელი, მუსნედ, 3, 198)

### 2. სანდობა

სანდობა ერთ-ერთი ის ფაქტორია, რომელიც პიროვნებას სხვა ადამიანების თვალში აამაღლებს. საზოგადოება, სადაც ადამიანები ერთიმეორეს არ ენდობიან, ვერ განითარდება და არც სიმშვიდე დაისადგურებს.

სანდობა ყველა შუამავლის საერთო თვისება იყო. ყველანში შუამავლების ამ თვისებაზე ხშირადაა საუბარი:

“უეჭველად, მე თქვენთვის წარმოგზავნილი სანდო შუამავალი ვარ.” (სურა შუ’ერა 107)

ჩვენი შუამავალი კი სანდოობის უბადლო მაგალითი იყო. ის მიცემულ სიტყვას აუცილებლად ასრულებდა. ის ხუმრობითაც კი არასოდეს ამბობდა ტყუილს. მას ჯერ კიდევ შუამავლობის სტატუსის გაცხადებამდე ხალხში “სანდო მუჭამმედს” ეძახდნენ.

გამომდინარე აქედან, ყველა მუსლიმი, რომლისთვისაც შუამავალი სამაგალითოა სანდო უნდა იყოს. მორწმუნე ეწოდება ადამიანს, რომელსაც სწამს დმერთის არსებობისა და მისი ერთადერთობისა. თუმცა ამასთანავე მორწმუნე ნიშნავს სანდო ადამიანს. მორწმუნე ყოველი პირობისა და შეთანხმების ერთგული უნდა იყოს. (იხ. მუ’მინუნ 8)

მოკლედ რომ ვთქვათ, სანდოობა მორწმუნისთვის აუცილებელი პრინციპია, როგორც ვაჭრობის სფეროში, ისე ცხოვრების ნებისმიერ სფეროში.

### პ. ცყალბე ან უნდო დაფუძნების

ყოველდღიურ ურთიერთობებში, ყიდვა-გაყიდვისას, ერთიმეორის დარწმუნებისას, ჩვეულების გამო და სხვა მიზეზით დმერთის სახელის ან მისი რომელიმე თვი-

## საქონლებისა და გაფრთხის მომავა

სების დასამოწმებლად ხსენება და დაფიცება ნათქვამი სიტყვის გასაძლიერებლად ხდება. ტყუილზე დაფიცება და ამ დროს ფიცის მოშველიებით მანიპულირება კატეგორიულად მიუღებელია.



ყურანში ნაბრძანებია, რომ ტყუილზე დაფიცება ღმერთის რისხვის გამომწვევ თვისებებს შეიცავს და ამას ძირითადად ურწმუნოები და თვალთმაქცი მორწმუნები აკეთებენ. ამით ცანს თუ რაოდენ დიდი ცოდვა და საშიში რამაა ტყუილზე დაფიცება.

ასევე მიუღებელია დაფიცება საქონლის გაყიდვისას, როცა ადამიანი მომხმარებლის დარწმუნების მიზნით გასაქიდი საქონლის შესახებ ტყუილზე იფიცებს. გამომდინარე აქედან, თუ ადამიანი იძულებული არ არის, საქონლის გაყიდვისას მართლაიც რომ იყოს დაფიცებისგან თავი უნდა შეიკავოს. (იხ. მაიდე 89, ბაყარა 224-225, ალი იმრან 77 და სხვა)

### შუამავალი ბრძანებდა:

“საქონლის გაყიდვისას ბევრი ფიცისგან თავი შეიკავეთ. დაფიცება საქონელს მიმზიდველს გახდის, მაგრამ შემდგომში გაანადგურებს”

გარდა ამისა ტყუილზე დაფიცებისას მნიშვნელობა არ აქვს უბრალო რამის გამო ვიფიცებთ თუ დიდად დირებულზე.

წარმოიდგინეთ მოგების ან გამორცენის მიზნით ტყუილზე დაფიცება და ამისათვის ღმერთის სახელის გამოყენება როგორი მკრეხელობა იქნება.

### ყურანში ნაბრძანებია:

“უეჭველად, ვინც ყიდის ალლაჰთან და-დებულ ალთქმას და დადებულ ფიცს (არღ-

ვევს) მცირე ფასად, წილი არ ექნებათ მაგათ საიქიოში, არ დაელაპარაკება მათ ალლაპი და არ შეხედავს მათ განკითხვის დღეს, და არ განწმენდს (ცოდვებისგან). მათვისაა (გამზადებული) მტანჯველი სასჯელი?“ (ა-ლი იმრან77)

შუამავალი ბრძანებს, რომ განკითხვის დღეს ღმერთი ასეთ ადამიანებს წყალობის თვალით არ გადმოხედავს და სასჯელს დაუდგენს. გარდა ამისა, პადის-ში ამგვარი ადამიანების აღწერილობაც კი არის გადმოცემული:

“ტანისამოსს მედიდურად მიწაზე მიათრევენ, გაკეთებულ სიკეთეს დაყვედრიან, ტყუილზე იფიცებენ და საქონლის ღირებულებაზე გაცილებით ძვირად გაყიდვას ცდოლობენ”. (მუსლიმ, იმან 171)

#### 4. საქონლის საყმორისზე შეკვეთ

##### შექმნას ისახს შეკვეთი

საქონლის გასაღების ერთ-ერთი ცნობილი გზა მისი ადამიანებისათვის გაცნობა და რეკლამის გაკეთებაა. თუმცა საქონლის მომხმარებლებისათვის გაცნობისას ზედმეტი არ უნდა მოგვივიდეს და გასაყიდ საქო-

ნელს ის თვისებები არ უნდა მივაწეროთ, რაც სინამდვილეში არ გააჩნია. წინააღმდეგ შემთხვევაში მომხმარებლებს მოვატყუებთ.

დღეისათვის რეკლამა წარმოებული საქონლის მომხმარებელზე გაცნობის აუცილებელს გზად და საშუალებად იქცა. რეკლამის დროს თუ საქონლის რეალური მახასიათებლებია წარმოდგენილი და არა რის ტყუილი გარეული, მაშინ რეკლამის გაკეთებაში ისლამის მიხედვით რაიმე პრობლემა არ არსებობს. მაგრამ, თუ რეკლამის გზით მომხმარებელი შეცდომაში შედის, უცოდინარობის გამო ტყუვდება და ტყულუბრალოდ იხიბლება საქონლით, მაშინ ასეთი რეკლამა მიუღებელია და ის ისლამის ალალმართლობის პრინციპებს ეწინააღმდეგება.

გამომდინარე აქედან, წარმოებული საქონლის მომხმარებლებზე გაცნობის მიზნით გაკეთებული რეკლამისას ზღვარს არ უნდა გადავცდეთ და ისევ და ისევ სიმართლეს უნდა მივანიჭოთ უპირატესობა. თვალთმაჯცობა და თაღლითობა კატეგორიულად მოუღებელია.

## 5. ბოძაში და ნინაში არ უნდა მოიაკუთო

ზომაში და წონაში მოტყუება დიდი ცოდვაა და ამგვარი უზნეო საქციელი საზოგადოებრივ ცხოვრებას საფუძვლიდანვე არყევს. ყურანში ნაბრძანებია, რომ წარსულში “მედიენ ეიქეს” ხალხი იმიტომ განადგურდა, რომ ისინი ზომასა და წონაში იტყუებოდნენ. ყურანში არის მოწოდება მუსლიმებისადმი, რომ ყიდვა- გაყიდვისას ზომასა და წონაში არ მოიტყუონ. (იხ. სურა ჰუდი 84-95 და სხვ.)

შუამავალიც საუბრობდა ზომასა და წონაში მოტყუების საკითხებზე და ამბობდა, რომ ეს გახდა მიზეზი ზოგიერთი ხალხების განადგურებისა. (თირმიზი, ბუიუ', 9)

ყიდვა-გაყიდვისას პატიოსნად მოქცევა, სწორად გაზომვა და აწონვა ყურანში მრავალგზისაა ნახსენები:

“და ზეცაც, რომელიც აღმართა. და განათავსა სასწორი, რომ არ გადახდეთ წონაში. გამართეთ სასწორი სამართლიანად და არ დააკლოთ წონაში!. (სურა რაჰმანი 7-9)

“საწყაო აავსეთ სრულად და ნუ იქნებით იმათგანი, ვინც დამკლებია. აწონეთ ზუსტი სასწორით!

არ მოაკლოთ ხალხს ის, რაც ეკუთვნით  
და არ ქმნათ ქვეყნად ავი, უკეთურობას ნუ  
გაამრავლებთ! (შუ'ერა 181-183)

შუამავალი რომ მედინაში გადავიდა, მე-  
დინას ბაზარში ნახა, რომ გამყიდველები  
ზომასა და წონაში თაღლითობდნენ. ამის  
გამო მან ისინი გააფრთხილა და მუტტაფი-  
ფინის სურას შემდეგი აიათები წაუკითხა:

“ვაი მათ, რომელნიც საწყაოსა და წო-  
ნას აყალბებენ! რომელნიც ყიდვის დროს  
ხალხისგან ზუსტად მოითხოვენ! და როცა  
სხვებს მიუზომავენ ან მიუწონიან, წონას  
აკლებენ! ნუთუ არ ფიქრობენ ისინი, რომ  
ერთ დღეს უნდა აღსდგნენ, დიად (აღდგო-  
მის) დღეს? იმ დღეს, ხალხი წარსდგებიან  
სამყაროთა მეუფის წინაშე!

ამრიგად, მუსლიმი ვაჭარი ან ზოგადად  
ადამიანი, რომელიც რაიმე საქონელს ყიდის  
ზომასა და წონის საკიტხებში ყურადღები-  
ანი უნდა იყოს და ყველანაირად ეცადოს,  
რომ ადამიანები არ მოატყუოს.

## 6. ბიბის რიად სიქონას ხელოვნურ დეკორა- ციას შექმნას გთავ უსხების გაზრიდა

სავაჭრო საქონლის ხელოვნურად არ-  
მიწოდება და დეფიციტის შექმნა, რათა ფა-

## საქონლებისა და გაფრთხის მოწვევა

სები ავარდეს, ისლამის მიხედვით მიუღებელია. ამგვარი ქცევა ფასების ზედმეტად გაზრდას და არანორმალური სიტუაციის წარმოქმნას გამოიწვევს.

ამგვარი ქცევა არის მცირე არჯის შედეგად მეტი სარგებლის ნახვის სურვილით ნაკარნახევი და ის ბუნებრივია ისლამის პრინციპებს არ ემთხვევა. ეს არის ანტისოციალური ქცევა, რომელიც მომხმარებლების ფინანსურ დანაკარგს იწვევს. ამგვარი ქცევა განსაკუთრებით დასაგმობია, როცა საქმე ეხება ძირითადი საჭიროებების დასაკმაყოფილებელ პროდუქციას. ძირითადი საჭიროების პროდუქტების მიწოდებიდან დიდი ხნის განმავლობაში ამოდება სოციალურ და ეკონომიკურ რყევებს იწვევს. ამდენად “შავი ბაზარი” და ამგვარი ხელოვნური მანიპულირება საქონლის ფასზე ისლამის მიხედვით მიუღებელია.

## 7. ჰიქმანუბლებების ჩანაწერ მოწყევა

გამყიდველი მომხმარებელს თავაზიანად უნდა მოექცეს. მყიდველთან სახელიმილიანი, თავაზიანი და ოპბილსიტყვიანი უნდა იყოს. შესაბამისად გამყიდველმა თავი უნდა შეიკავიოს ყოველგვარი უხეშობისა და ცუდი ქცევებისაგან. ამასთანავე სასურველია მყიდველს საქონლის შეძენა გაუიოლოს.



შუამავალი ბრძანებდა: “ყიდვიხან და გაყიდვიხან, ვალის აღებისა და გაცემისან ვინც ლმობიერად მოიქცევა და გააიოლებს ღმერთმა დალოცოს”. (ბუკარი, ბუიუ’, 16)

გამყიდველმა უნდა იცოდეს, რომ ის არა-მარტო საქონლის გაყიდვითაა დაკავებული, არამედ ის ადამიანების საჭიროებების დაკ-მაყოფილებაში ეხმარება და ამდენად კარგ საქმეს აკეთებს. ასე რომ სასურველია ცო-ტა იკმაროს და ალალი ლუკმა მიიტანოს შინ.

გარდა ამისა, ისლამის მიხედვით სასურ-ველია ვალის აღებისას გადამხდელის ფი-ნანსური მდგომარეობა გავითვალისწინოთ და კუთხეში არ მივიმწყვდიოთ. თუ შესაძ-ლებელია და რაიმე განსაკუთრებულ ზიანს არ გამოიწვევს, ვალის დაბრუნების თარი-ღის გადავადებაც მოსაწონი საქციელია. ამ

საკითხთან დაკავშირებით ყურანში სურა  
ბაყარას 280-ე აიათშია საუბარი:

“და თუ მეგალე გასაჭირშია (არ შეუძლია ვალის გასტუმრება), მაშინ გადაუვადეთ მდგომარეობის გაუმჯობესებამდე. და თუ აჩუქებთ, უკეთესია თქვენთვის, რომ იცოდეთ.

თუ ერთის მხრივ გამყიდველი ვალდებულია მომხმარებელს ხელი შეუწყოს და ვალის გადახდა არ გაუძნელოს, მეორეს მხრივ მომხმარებელიც ვალდებულია ნისიად წაღებული საქონლის საფასური დროულად დაფაროს. ბუნებრივია მან ვალის გადაუხდელობის გამო გამყიდველს ფინანსური ზიანი არ უნდა მიაყენოს. როცა გადახდის შესაძლებლობა არის და ვალს არ აბრუნებენ, ეს გამყიდველისთვის ზიანის მიუნებაა და შესაბამისად მიუდებელია.

მყიდველსა და გამყიდველს შორის კარგი ურთიერთობა, ურთიერთნდობა და ურთიერთგაგება სასურველი მდგომარეობაა და ისლამის მიზანიც სწორედ ამგვარი ურთიერთობების ჩამოყალიბებაა. ამრიგად, ვაჭრობის პროცესში ჩამოყალიბებული ეს ჰარმონიული ურთიერთობა პირად ცხოვრებაშიც გადაიზრდება და ზოგადად ურთიერთსიუგარულზე დამყარებული ურთიერთობები ჩამოყალიბდება.

## 8. შოშემოწყვეტლის შეცდება

ხშირად ვაჭრობის პროცესში მიმართავენ ხერხს, რომლის დროსაც ფასის ხელოვნური და არარეალური აწევა ხდება. კერძოდ, ფასში მორიგებისას მესამე პიროვნება მიდის და საქონელში იმაზე გაცილებით მეტის გადახდას აანონსებს, რაც სინამდვილეში ღირს. მომხმარებელი ტყუვდება და საქონელი რომ სხვას არ დაუთმოს იხდის რელუზე უფრო მეტ საფასურს. ასეთი სცენარის გათამაშებისთვის ყოველთვის გამყიდველსა და იმ მესამე პიროვნებას შორის წინასწარი შეთანხმება აუცილებელი არც არის. ეს შეიძლება სპონტანურად და შეუთანხმებლადაც მოხდეს. ამიტომ წესი და რიგი მოითხოვს ვაცალოთ პირველ მუშტარს და როცა ისინი ვერ მორიგდებიან ამის შემდეგ დავაპიროთ იმ კონკრეტული საქონლის შეძენა.

ამრიგად ისლამი გმობს ისეთ ქცევას, რომელიც თავისუფალი კონკურენციის გარემოს აზიანებს და უსამართლობას ხელს უწყობს. ამგვარი ტენდენციები ადამიანურ ურთიერთობებსაც აზიანებს. შესაბამისად საზოგადოებაშიც ურთიერთსიყვარული და ურთიერთგაგება შემცირდებოდა.

შუამავალმა სავაჭრო ურთიერთობებში ჯერ კიდევ მაშინ შემოიტანა გარკვეული რეგულაციები, რომლებიც გეგმაზომიერად არეგულირებდა ამ პროცესს და ზოგადად ამ პროცესის სამართლიანად წარმართვას უზრუნველყოფდა. ამ ყველაფრის მიზანი კი ჯანსაღი ურთიერთობების, ეკონომიკის განვითარების, შრომისა და ამაგის დაფასების და როგორც მწარმოებლის, ისე მომხმარებლის დაცვის უზრუნველყოფა იყო.

## 9. საქონლის გუადგის ჩარიცა

არის შემთხვევები, როდესაც საქონლის გაყიდვისას, ჯერ კიდევ ვაჭრობის პროცესში, ვინმე მესამე მოდის და ამბობს რომ ამ კონკრეტულ საქონელზე უფრო კარგი საქონელი აქვს უფრო იაფად. ან პირიქით, მესამე პირი გამყიდველს ეუბნება, რომ თუ ამ შეთანხმებას შეცვლის, ის ამ კონკრეტულ საქონელში უფრო მეტს გადაუხდის. კერძო გარიგებებში ამგვარი ჩარევა, ისლამის მიხედვით მიუღებელია.

ბუნებრივია აქ არ უნდა გავაიგივოთ აუქციონის შემთხვევა, რადგან აუქციონის დროს განსხვავებული წინაპირობა და სულ სხვა სიტუაციაა.

10. Ճախոնմա մուղղամքը եպօնցը այծածա քսա-  
ցքուն ու աղջանուն նուցունց ջամփառը լին ան-  
մարդունց նախառա մասնակ խաղացա

Մշամազալմա գասապուն սայոնլու յալայի-  
՛ն Մյութանամքը ցիամու ճախցագրա ու ու ու  
Մյամենա այրմալա. ամ այրմալացա որո մունցին  
Վյոննա: ա) Ռոմլունի վակարս Մյեմլո ցիա-  
մու ճախցագրուն սայոնյելս ու յրտո սախց-  
ունու սայոնյելո մուլունա Մյյեսպուն, Ռաշ  
մաս ամ յոնկրցի յալո սայոնլու գայունցուսա մոնունունունի մուգոմարյունամու հապյենցի-  
դա. յև յո սայոնլու դորյեծյուլունա ցաւո-  
լունի մյու յասա գայունցու սամշալունա մուսցյմա: ի) ցիամու ճախրունկյեն մոմազալմա  
գամյունցունմա չյեր յունյա ար ունու սայոն-  
լու յասու, Ռաշ յմնու ոմու ալուն ճաս, Ռոմ  
սայոնյելս Ռյալյուրո դորյեծյուլունի ցաւ-  
ունյունի դանալ յասմու դաստմունյեծին:

Գամոմքունարյ այյեժան, ամ որույ Մյուտե-  
ցամու ճախրու նորմալյուրո յոնկյուրյենցուն Աու-  
րունյեծու որդունյա ու ան յալայիս մյունցու-  
լունի Նարալունյեծուն, ան սոյլուն մոմազա-  
լու ցամյունցունյեծու.

Գարդա ամուսա, Մշամազալմա յալայիլու վակ-  
րյեծու մոյր ցարկայուրո սախցայուրու սան-  
ցունու սոյլունյուրո միարմոյեծուն սախցուն

## საქონლის და დაწილის მომავალი

საქონლის გაყიდვაც აკრძალა და ბრძანა: “ ქალაქელმა სოფლელის სახელით არ გაყიდოს”...(ბუჭარი, ბუიუ, 58)

ისლამი კრძალავს შავი ბაზრის წარმოქმნას და საქონლის ფასის ხელოვნურად გაზრდის ამგვარ მაქინაციებს გმობს. ამის მიზეზი შემდეგნაირად არის განმარტებული:

მწარმოებელმა ბაზარს საქონელი თავად უნდა მიაწოდოს. შესაბამისად მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის შესვლა და ფასის ზედმეტად გაზრდა არ უნდა მოხდეს. რადგანაც მიზანი ფასის ზედმეტად გაზრდის საწინააღმდეგო პრევენციაა, ამიტომ მწარმოებელსა და მომხმარებელს შორის ზომიერი სარგებლის მიღების გზით ამ ორ მხარეს შორის მომსახურება და ამ მხრივ მუშაობა მისაღებია. დღეისათვის ისედაც ამგვარი მომსახურება გავრცელებულია და ის ადამიანებს სჭირდებათ, რადგან ეს საქმიანობა მწარმოებლიდან მომხმარებლამდე საქონლის მიტანას გაცილებით აიოლებს.

როგორც უკვე ნათელია ისლამი არ კრძალავს ვაჭრობას. ის ცდილობს მაქსიმალურად დაიცვას როგორც მომხმარებელი, ისე მწარმოებელიც. ამის გამო იყო, რომ

ქალაქში მომავალ გლეხებზე გზაში დახვედრა აიკრძალა, რადგან დამხვდურები იქ გლეხებს ატყუებდნენ და საქონელს დორებულებაზე გაცილებით ნაკლებ ფასად ართმევდნენ, ქალაქში კი მომხმარებლებს ატყუებდნენ და საქონლის დირებულებაზე გაცილებით ძვირად ყიდდნენ. ისლამის მიხედვით ასევე აკრძალულია ძირითადი მოტხოვნილების პროდუქციის განგებ დასაწყობება, რათა ბაზარზე დეფიციტი შეიქმნას და მერე ძალაინ ძვირად გაიყიდოს. (იხ. იბნ მაჯე, ტიჯარათ 6,)

## 11. საფაქტო საქმიანობის აღნერი

სავაჭრო საქმიანობისას წარმოქმნილი პრობლემების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი მხარეთა შორის შეთანხმებების ბუნდოვანება და გაურკვევლობაა. ისლამი ორივე მხარისგან ითხოვს ალალმართლობას და სამართლიანობას, მაგრამ ამასთანავე კეთილი ზრახვების დადასტურების მიზნით და ასევე შემდგომში მოსალოდნელი გაუგებრობების თავიდან ასაცილებლად შეთანხმების ყოველი დეტალის აღწერა მოსაწონი საქციელია და ისლამიც ამას გვირჩევს. ყურანში ნაბრძანებია:

“ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! თუ ერთმანეთისგან ვალს იღებო გარკვეული ვადით, დაწერეთ ეს (ხელწერილი). და დაწეროს ეს სამართლიანად მწერალმა თქვენ შორის. უარი არ თქვას მწერალმა. ისე დაწეროს, როგორც ალლაპმა ასწავლა მას. მევალემ უკარნახოს და ეშინოდეს მას ალლაპის, მისი ღმერთისა და არ დააკლოს არაფერი. და თუ ის, ვინც მევალეა, გონებასუსტია ან უძლური, ან თავად კარნახი არ ძალუმს, მაშინ მისმა მეურვემ უკარნახოს სამართლიანად და აიყვანეთ მოწმედ თქვენგან ორი კაცი. თუ ორი კაცი არ იქნება, ერთი კაცი და ორი ქალი, ვისზეც თანახმა ხართ, როგორც მოწმეზე; ეს იმ შემთხვევისთვის, თუ რომელიმე ქალს შეეშლება, შეახსენოს მეორემ. და უარი არ თქვან მოწმეებმა, როცა ეძახიან. არ დაიზაროთ ვალის თავისი ვადით ჩაწერაზე, დიდი (მნიშვნელოვანი) იქნება ის თუ მცირე (უმნიშვნელო). ეს ალლაპის წინაშე ყველაზე სამართლიანი და ყველაზე საღი (მყარი) მოწმეობისთვისაა, და ჭეშმარიტებასთან ყველაზე ახლოა, რომ ეჭვი არ შეგეპაროთ. მაგრამ თუ ერთმანეთში ნაღდი ფულით გადაბარებაა, მაშინ ცოდვად არ გეთვლებათ, თუკი ამას არ დაწერთ. აიყვანეთ მოწმეები გარიგების დადებისას და არც მწერალს შეხვდეს რამე უსიამოვნება და არც მოწმეს; და თუ იქმო ამას (ზიანს მიაყენებთ), უეჭველად, ეს თქვენი ჭეშმარიტი გზიდან გადახვევაა. და გე-

შინოდეთ ალლაპისა! ალლაპი გასწავლით, უჰქველად, ალლაპი ყოვლისმცოდნეა! (სურა ბაყარა 282)



ყურანში ეს აიათი საკმაოდ ფართოდაა გადმოცემული და გარკვეულად განმარტავს აღებ-მიცემობის დროს საჭირო მოქცევის წესებს, რათა შემდგომში თავიდან იქნას აცილებული გაუგებრობები. საამისოდ კი საჭიროა შეთანხმების წერილობითი ფორმით ჩაწერა ან მოწმეების დასწრება. ამგვარი დეტალური განხილვა მოწმობს, თუ რაოდენ მნიშვნელოვან საკიტხოან გვაქვს საქმე. ამ აიათის შემდგომ აიათში კი ნაბრძანებია შემდეგი:

“და თუ იქნებით მოგზაურობაში და ვერ ჰპოვოთ მწერალი, მაშინ საბუთად საკმარისია საწინდე . და თუ ვინმე თქვენგანი ენდობა მეორეს, ვისაც ენდნენ, უკან დააბრუნოს საწინდე და ეშინოდეს ალლაპის, მისი დმერთის და არ დამალოთ მოწმეობა, და ვინც დამალავს, უეჭველად, ცოდვილი გული აქვს. და ალლაპი უწყის, რასაც აკეთებთ! (სურა ბაყარა 283)

როგორც აიათებიდან ჩანს, ნებისმიერ სფეროში და შესაბამისად გაჭრობაშიც ნდობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ბუნებრივია აიათებში მითითებულია, რომ ნდობის ბოროტად გამოყენება კატეგორიულად მიუღებელია.

## 12. ძირისუფლი გხების შემოხვევას მიღება

ისლამი შრომას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

“და რომ არფერია ადამიანი, გარდა იღვწოდა რასაც. (სურა ნეჯმი 39)

შუამავალიც ხშირად საუბრობდა შრომასა და მის მნიშვნელობაზე. ამასთანავე შუამავალი ბრძანებდა, რომ ერთი ადამია-

ნის მიერ მეორის დაჩაგვრის შემთხვევაში, თუ დაჩაგრულმა თავად არ აპატია, ღმერთი მჩაგვრელს არ შეუნდობს. ამიტომ ადამიანები უფლების დარღვევა კატეგორიულად მიუღებელია. ასეთი უფლების დარღვევაა რაიმე საქონლის პატენტის ჩუმად შექმნა და ბაზარზე გაშვება. ან რომელიმე წიგნის და დისკის მაღლად გამრავლება და გაცრცელება. ამ კატეგორიაში შედის კომპიუტერული პრგრამების არალეგიტილურად გამოყენება, რაც უდავოდ შემქმნელის უფლების დარღვევაა.

ეს ყველაფერი არამარტო ფინანსურ ზიანს მოუტანს მწარმოებელს, არამედ ის საგრძნობლად ურტყამს მწარმოებლის სურვილს შექმნას რაიმე ახალი და საინტერესო. ეს კი გაცილებით სერიოზული და გლობალური პრობლემაა.

მოკლედ რომ ვთქვათ, არალეგიტიმური გზებითა და საშუალებებით რაიმე პროდუქციის წარმოება და ბაზარზე გატანა მიუღებელია. ბუნებრივია აქ იგულისხმება წარმოებაზე უფლებამოსილი პირის ნებართვის გარეშე რაიმის წარმოება და გაყიდვაც. ეს ისლამის პრინციპებს არ შეესაბამება.

თუ უფლებამოსილი პირი დისკების გაცრცელების უფლებას მიანიჭებს ვინმეს, მაშინ ამ კონკრეტულ პიროვნებას უფლება აქვს გაამრავლოს და გაავრცელოს ისინი.

#### IV. შეფინანსების და შედეგები

ისლამის მიხედვით შრომა და ალალი შემოსავალი ისეთივე სავალდებულოა, როგორც ცოდნის შეძენა და ადამიანის მიერ სარჩოს მოპოვება, ოჯახის გამოკვება და საერთოდ ამ მიზნისათვის ალალად შრომა, ზოგადი გაგებით ღვთისმსახურებადაა მიჩნეული. ეს ყველაფერი ეხება ვაჭრობასა და ეკონომიკურ საქმინობას. ისლამი ვაჭრობასა და ეკონომიკურ საქმიანობაში გარკვეულ პრინციპებს აწესებს. თუ ეს წესები და პრინციპები უგულებელყოფილი გახდება ამ სფეროში ფეხს მოიკიდებს ისეთი ნეგატიური და დამანგრეველი მოვლენები, როგორიცაა ქრთამი, უსამართლობა, მტაცებლობა, არალეგალური შემოსავალი, ქურდობა, თაღლითობა, კონფლიქტები და სხვა მსგავსი.

მოგების დროს ისლამის მიხედვით მთავარი პრინციპი ალალი შემოსავალია. ქურდობა, თაღლითობა, ქრთამი, პროცენტი, აზარტული თამაშები, ზომასა და წონაში მოტყუება, საქონლისა და მომსახურების გადაჭარბებულად ძირად გაყიდვა, მუშა- მოსამსახურეთა უფლებები დარღვევა, გასამრჯელოს დროულად და სრულად გადაუხდელობა, დარიბებზე დახმარების გაწევის დავიწყება და ზოგადად ყველა ის ნეგატიური ტენდენცია ისლამის მიხედვით აკრძალულია.

გამომდინარე აქედან, ნებისმიერი მწარმო-  
ებელი ვალდებულია თავისი წარმოებული  
საქონლით სხვებს ზიანი არ მიაყენოს. და-  
უშვებელია ჯანმრთელობისთვის საშიში ან  
მოხმარების ვადაგადაცილებული პროდუქ-  
ტების გასაყიდად გატანა. მომხმარებლის  
ინფორმაციის ნაკლებობით სარგებლობა  
და მათოვის საქონლის ზედმეტად ძვირად  
მიყიდვა დაგმობილი და მიუღებელია.

ასევე დაუშვებელია ეკონომიკური წო-  
ნასწორობისთვის საფრთხის შემცველი ნე-  
ბისმიერ ქმედების ჩადენა. მიუღებელია ეკო-  
ნომიური მდგომარეობის ბოროტად გამოყე-  
ნება და ადამიანების ჩაგვრა. ბუნებრივია  
ასევე მიუღებელია დაკისრებული საქმის  
ღირსეულად შეუსრულებლობაც. ყველას  
უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანის მიმართ  
ჩადენილი უსამართლობა დმერთის წინაშე  
ყველაზე რთულად შენდობადია.

ამავდროულად მუსლიმი საქმოსანი თა-  
ვისი უფლებებისა და თავისუფლებების  
განხორციელებისას სხვათა უფლებებსაც  
უნდა გაუფრთხილდეს. ის მუდმივად უნდა  
ცდილობდეს ყველას თავისი წილი არგუ-  
ნოს. ამასთანავე ის ვალდებულია ალალ  
საქმეში ინვესტიციები განახორციელოს და  
ამით ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას ხელი  
შეუწყოს, რაც სხვა ადამიანებზე კეთილდ-  
ღეობის სახით აისახება. ეკონომიკური სიძ-

ლიერე არასოდეს სხვათა ჩაგვრისთვის არ უნდა იქნას გამოყენებული.

მოკლედ რომ ვთქვათ, გლეხი იქნება თუ მუშა, ვაჭარი თუ სახელმწიფო მოხელე, ხელოვანი თუ მეცნიერი, მდიდარი თუ დარიბი თავის საქმინობაში მართალი და პატიოსანი უნდა იყოს და შემოსავალი ალალად უნდა მოიპოვოს. ამისათვის კი საჭიროა ისლამის მიერ დადგენილი პრინციპები შეისწავლოს და პრაქტიკაში განახორციელოს.